

მედიის როლი ეთნიკურ კონფლიქტებში:
case study - კენია და სომალია

ნათია თოლორაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

მედიის როლი კონფლიქტებში, ყოველთვის წარმოადგენდა განხილვის საგანს მთელს მსოფლიოში. ის გავლენას ახდენს საზოგადოების პოლიტიკურ დღის წესრიგზე, მისი ზეგავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მკვლევარები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ მედიის გავლენის მასშტაბურობაზე, ხარისხზე, კონფლიქტებში და კონფლიქტების მართვაში. ამ კვლევის მიზანი იყო გამეანალიზებინა მედიის როლი კონფლიქტების პერიოდში, კონკრეტულად კენიაში 2007-2008 წლებში მომხდარი საარჩევნო ეთნიკური კონფლიქტისა და სომალიში 2004-2006 წლებში მომხდარ ეთნიკური დაპირისპირების მაგალითებზე. ნაშრომში მექნება მცდელობა დავადგინო მედიის ხელმისაწვდომობის ხარისხი და სხვადასხვა მედიის სახეობების გავლენები ამ პროცესზე, ასევე დავადგინო მედია ამწვავებდა თუ ანეიტრალებდა კონფლიქტის დროს ძალადობას. კვლევაში ასევე განხილულია ომის ჟურნალისტიკის შესაძლო გამოვლინებების შეფასება მშვიდობის ჟურნალისტიკასთან კორელაციაში, კონფლიქტების ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით.

Abstract

The role of the media in conflicts has always been the subject of debate throughout the world. This affects the political agenda of the public, its influence has increased significantly, and researchers are still unable to reach a consensus on the scale of influence and quality of the media, conflicts and conflict management. The purpose of this study was to analyze the role of the media in conflict management in Kenya 2007–2008 years ethnic conflict and in Somalia in 2004-2006 years ethnic conflict. In this paper, I will try to find out the quality of access to the media and the influence of various types of media on this process, and also to find out whether the media was escalating or neutralizing the violence. The study also examines possible manifestations of war journalism in correlation of peace journalism using conflict analysis tools.